საგანი: მოქალაქეობა

საბაზო საფეხური

„ჩემი ახალი სახლი“

ცნება: მდგრადი განვითარება

ცნებათან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები: რესურსების მოხმარებისას მნიშვნელოვანია საზოგადოების ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივის გათვალისწინება; ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები მოსდევს (მაგალითად, გარემოზე ზრუნვა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება (მაგ., ნაგვის ძირს არ დაყრა, პოლიერთილენის პარკზე უარის თქმა).

ქვეცნება: მდგრადი განვითარების გლობალური მიზნები

ესგ შედეგი: მოქ.საბ.3. მდგრადი განვითარების პრინციპების გააზრება და მათ საფუძველზე მოქმედება (მათ შორის, ცხოვრებისეულ და საგანგებო (ბუნებრივი და ტექნოგენური მიზეზებით გამოწვეულ) ვითარებაში უსაფრთხოების წესების დაცვით მოქმედება);

საკითხი: პირადი ფინანსების მართვა

კომპლექსური დავალების პირობა:

თქვენ გაყიდეთ ძველი ბინა და გადახვედით ახალში. ცხოვრობთ მარტო. ბინაში არ არის არც ავეჯი და არც ტექნიკა. არის მხოლოდ გათბობის სისტემა. ასევე თქვენ გაქვთ თქვენი პირადი ნოუთბუქი და ტელეფონი. თქვენი *ხელფასი თვეში 1300 ლარია,* გამოთვალეთ რამდენი დაგეხარჯებათ საკვებზე და კომუნალურ გადასახადებზე, ასევე არ დაგავიწყდეთ ყოველდღიური ხარჯები, როგორიცაა ტრანსპორტი და სხვა. რაც დაგრჩებათ, შეგიძლიათ თქვენი სურვილისამებრ მართოთ. არ დაგავიწყდეთ, რომ ახალგაზრდა ხართ და მეგობრებთან გასატარებელი დრო თუ სხვა ნებისმიერი სიამოვნება, როგორიცაა წიგნები, კაფეში ან კინოში სიარული ამ ფულიდან უნდა გამოყოთ.

წინა ბინის გაყიდვიდან დაგრჩათ 5000 ლარი.

ასევე შეგიძლიათ აიღოთ *სესხი*. გაითვალისწინეთ, რომ სესხის აღების შემთხვევაში *ყოველთვიურად* მოგიწევთ *სესხის პროცენტის* გადახდა.

გაწერეთ *ნახევარი წლის ფინანსური გეგმა* და მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალურად კომფორტულად მოიწყეთ ბინა. შეიძინეთ აუცილებელი ავეჯი და ტექნიკა, ასევე შეგიძლიათ შეიძინოთ სხვადასხვა დეკორატიული ნივთები თუ სხვა სახლისთვის აუცილებელი ნივთები. არ დაგავიწყდეთ მდგრადობა და ყურადღება გაამახვილეთ ხარჯთეფექტურობა. სახლში ინტერნეტ მაღაზიების დახმარებით „შეიძინეთ“ კონკრეტული ნივთები (პრეზენტაციისას წარადგინეთ შესაძენლი ნივთების ფოტოები, ან ლინკები). *წარადგინეთ როგორი იქნება თქვენი სახლი ნახევარი წლის შემდეგ.*

რეკომენდაცია:

ჯგუფში შეთანხმდით რა ნივთებს ყიდულობთ და გაწერეთ მიახლოებითი ხარჯები ყოველ ნივთზე, ან ნივთების ჯგუფზე. გადაწყვიტეთ აიღებთ თუ არა სესხს და რა ოდენობით. გადაინაწილეთ ვინ რომელ საყიდლებზე იქნება პასუხისმგებელი.

პრეზენტაციისას წარადგინეთ:

- ნახევარი წლის ფინანსური გეგმა, სადაც გაწერილი იქნება ყველა აუცილებელი ხარჯი
- როგორ მოაწყობთ სახლს, რა ნივთებით?
- მოიყვანეთ არგუმენტები თქვენი გეგმის გასამყარებლად. დაასაბუთეთ მისი ხარჯთსარგებლიანობა და მდგრადობა.
- იყავით თანმიმდევრული გადაწყვეტილების ახსნისას.
- დაასაბუთეთ გადაწყვეტილებების გრძელვადიანი პერსპექტივა

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ: რას გაითვალისწინეთ მართლა რომ გადადიოდეთ ახალ ბინაში? რამეს შეცვლიდით გეგმაში? რას შეცვლიდით დავალების შესრულებას ეხლა რომ იწყებდეთ?

კომპლექსური დავალებისთვის მოსამზადებელი აქტივობები

ეტაპი 1: კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

ჯგუფების ჩამოყალიბება, რომელბიც მთელი დავალების განმავლობაში ერთად იმუშავებენ როგორც მიმდინარე დავალებებზე, ასევე საბოლოო კომპლექსურზე. მიმდინარე დავალებებისას ჯგუფები მიირებენ განმავითარებელ უკუკავშირას და დახვეწენ ერთმანეთთან თანამშრომლობას, რათა გაუმარტივდეთ საბოლოო შეთანხმების მიღწევა.

ეტაპი 2: ზოგადი ეკონომიკური ხედვის განვითარება

მინი ლექცია ფულის წარმოშობასა და გამოყენებაზე.

- როგორ გაჩნდა ფული?
- რა ფუნქციას ასრულებს?
- რა ტიპის ფული არსებობს?

ექსპერიმენტი: „კალმის შექმნა“. ინსტრუქცია: იმისთვის რომ კალამი შემქნათ ის უნდა შეეხოს ყველა ჩვენგანის ხელს რიგრიგობით. ვინიშნავთ დროს. პირველი მცდელობის შემდეგ ვთავაზობთ მოსწავლეებს გააუმჯობესონ საკუთარი შედეგი. შეკითხვები გასააზრებლად:

- რა დაგვეხმარა შედეგის გაუმჯობესებაში?
- რა ფაქტორებმა ითამაშა როლი გაუმჯობესებისას?

თანამედროვე სამყაროში ფულის შექმნის მაგალითის განხილვა: რა მოხდება, თუ ადამიანი ბანკში 1000000$ განათავსებს, ხოლო შემდეგ ბანკი ამ ფულს გაასესხებს, მსესხებელი ამ ფულით ბიზნესს წამოიყებს, რომლისთვისაც კვლავ მეანაბრეს დაიქირავებს, ხოლო ის ამ ფულს კვლავ ბანკში შეიტანს („sapiens კაცობრიობის მოლე ისტორია“ ნეოლ ჰარარი 16 თავი)

დასკვნა: თანამედროვე სამყაროში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ინოვაციას, რაიმეს შექმნას და მუდმივ გაუმჯობესებას.

ვიდეო განმამტკიცებლად:

https://www.youtube.com/watch?v=VF4CZzGfORE&t=11s&ab_channel=%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%AF%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98-Orjerori

ეტაპი 3: პირადი ბიუჯეტი და პრიორიტეტების განსაზღვრა

დავალება: აღრიცხეთ ყველა დანახარჯი ერთი კვირის განმავლობაში. (დავალება სრულდება ტიპური სასწავლო პროცესის პარალელურად, შესაძლოა დისტანციურად)

ვიდეო რესურსის განხილვა:

https://www.youtube.com/watch?v=ma-y4-FAGwA&t=6s&ab_channel=%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%AF%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98-Orjerori

https://www.youtube.com/watch?v=Da8yn9RFKuM&t=3s&ab_channel=%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%AF%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98-Orjerori

ხარჯების აღრიცხვის შემდგომ კვირაში დაგეგმეთ მომდევნო კვირის ბიუჯეტი. გაითვალისწინეთ დანაზოგი. გამოყავით რა მიზნით დაზოგავთ ფულს. შედგენის შემდეგ გაუცვალეთ შექმნილი ბიუჯეტი კლასელს და გაცვალეთ რეკომენდაციები.

დავალება: პრიორიტეტები.

https://www.youtube.com/watch?v=nPyhISB4W9c&ab_channel=%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%AF%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98-Orjerori

განხილვა კლასში: როგორი ტელეფონი, მანქანა, ნოუთბუკი და ბინა მიგვაჩნია ღირებულად? (ნივთები შეიძლება შეირჩეს მოსწავლეების ინტერესებიდან გამომდინარე). რომელი შენაძენი იქნებოდა უფრო ხარჯთ ეფექტური?

წარმოიდგინეთ რომ ხართ მრჩეველთა გუნდი და უნდა ურჩიოთ ადამიანებს როგორი: ტელეფონი, ნოუთბუკი, მანქანა, ბინა იყიდონ. გაწერეთ პრიორიტეტები, შესთავაზეთ მყიდველს რამდენიმე ვარიანტი სხვადასხვა ფასის კატეგორიიდან. დაასაბუთეთ ხარჯთეფექტურობა. (ჯგუფური)

დავალების შესრულებისას მოსწავლეებს ინსტრუქციას ვაძლევთ ეტაპობრივად, ჯერ ვტავაზობთ, რომ ჯგუფებში გაწერონ მახასიათებლები, რომლებიც უნდა გააჩნდეს თითოეულ ნივთს, შემდეგ ვთხოვთ დაალაგონ ისინი პრიორიტეტების მიხედვით, დანომრონ მნიშვნელოვანებით, ხოლო შემდეგ ვთხოვთ მოიძიონ რელური ნივთი ბაზარზე.

- რაზე მოგიწიათ უარის თქმა?
- რომელი მახასიატებელი უგულებელჰყავით?
- კმაყოფილი ხართ მოძიებული ნივთით?

- რას შეცვლიდით რეალურად, რომ მოგიწიოთ მსგავსი ნივთის შეძენის დაგეგმვა?

ეტაპი 4: გეგმის შემუშავება

დავალება: გეგმა (მოსწავლეებს აქამდე ჰქონიათ სხვადასხვა გეგმის შექმნის გამოცდილება)

ზამთარში მიდიხართ დასასვენებლად ბაკურიანში 5 დღით. ბინა ნაქირავებია, თუმცა საჭიროა სხვა ხარჯების დაგეგმვა. მოითათბირეთ და შეადგინეთ გეგმა ყველა დეტალის გათვვალისწინებით. საჭიროების შემთხვევაში აღნიშნეთ რას წამოიღებთ სახლიდან. გაითვალისწინეთ რომ გეგმა იყოს რეალისტური და რელევანტური. (ჯგუფური)

- რაზე დაყრდნობით ირებდით გადაწყვეტილებებს?
- რა დაგეხმარათ შეთანხმების მიღწევაში?
- რა სტრატეგიები გამოიყენეთ გეგმის შემუშავებისას?

ეტაპი 5: სესხი

მინი ლექცია: სესხის ტიპები

https://www.youtube.com/watch?v=8XbmNU6plsk&ab_channel=Finedu

https://www.youtube.com/watch?v=ppcysfrPRZ4&ab_channel=Finedu

https://www.youtube.com/watch?v=BhF4iMMr6A4&ab_channel=Finedu

https://www.youtube.com/watch?v=NSkT9_o1GUw&t=1s&ab_channel=%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%AF%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98-Orjerori

https://www.youtube.com/watch?v=Ad4qSBpY1Z8&t=10s&ab_channel=%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%AF%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98-Orjerori

https://www.youtube.com/watch?v=eX4gavLBrRg&t=1s&ab_channel=%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%AF%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98-Orjerori

დავალება: საუკეთესო პირობების მოძიება.

ვიდეოებიდან და ლექციიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეისწავლეთ საქართველოში მოქმედი ბანკები სასესხო შეთავაზებები და გამოყავით საუკეთესოები თითოეულ კატეგორიაში: სალომბარდე, იპოთეკური, უზრუნველჰყოფის გარეშე. (ჯგუფური)

რატომ ჩათვალეთ არჩეული სესხის პირობები საუკეთესოდ?

როგორ განსაზღვრეთ საუკეთესოობის კრიტერიუმები?

რა არის მნიშვნელოვანი სესხის შერჩევისას?

ეტაპი 6: კომპლექსური დავალების პრეზენტაცია

დავალების მოსამზადებლად მოსწავლეებს ეძლევათ ვადა არანაკლებ ორი კვირისა.